

წიფლნარი ტყეების მდგომარეობა საქართველოში

ცოტნე ოდიკაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტზე,
მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვასილ მეტრეველი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცოტნე ოდიკაძე 02 / 06 /2023

შინაარსი

1. შესავალი.....	1
1.1. კვლევის მიზნები :.....	3
1.2. ლიტერატურის მიმოხილვა	4
2. მასალა და მეთოდები.....	9
2.1. საველე კვლევის მეთოდოლოგია	9
2.1.1. ერთეული ხეების შეფასება.	13
2.2. ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგია.....	15
2.1.2. საქართველოში წიფლის გავრცელების მოდელის შექმნა	15
2.1.3. წიფლის მეორეული ტყეების კრიტერიუმების (მოდელის) შემუშავება და არსებული პირველადი წიფლნარი ტყეების პროცენტული რაოდენობის გამოთვლა.....	17
2.1.4. პირველადი წიფლნარი ტყეების გავრცელების მოდელის შექმნა.....	21
3. შედეგები.....	22
3.1. საქართველოში წიფლის გავრცელების მოდელი.....	22
3.2. წიფლის მეორეული ტყეების კრიტერიუმები.....	25
3.3. პირველადი წიფლნარი ტყეების გავრცელების მოდელი.....	26
4. დისკუსია.....	29
5. დასკვნები	31
6. ბიბლიოგრაფია.....	32
7. მაძლობა.....	38
8. დანართი	39

აბრევიატურა და შემოკლებები

მ - მეტრი

სმ - სანტიმეტრი

კმ - კილომეტრი

იხ - იხილეთ

სამხ - სამხრეთი

მმ - მილიმეტრი

ზღ.დ - ზღვის დონიდან

ტეა - ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია

იხ - იხილეთ

°C - ცელსიუსი

° - გრადუსი

% - პროცენტი

>- მეტია

- ნომერი

AUC – Area under the ROCK curve

GPS - გეოგრაფიული პოზიციონირების სისტემა

ე.წ. - ეგრედ წოდებული

CSV - მძიმით გამოხატული მნიშვნელობები

XL - მონაცემთა ელექტრონული სისტემა

აბსტრაქტი

ტყე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურს წარმოადგენს მსოფლიოში. მსოფლიო ტყეების ფართობი 4.06 მილიარდ ჰექტარს შეადგენს, რაც ხმელეთის ერთი მესამედი ნაწილია. ხოლო საქართველოსთვის ტყით დაფარული ფართობები ტყის ეროვნული აღრიცხვის მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიის 44.7% - ს შეადგენს, რომელთა უმეტესი ნაწილი წიფლნარებია. წიფელი სამეურნეო დანიშნულების სახეობას წარმოადგენს. შესაბამისად მისი კორომები საკმაოდ დეგრადირებულია.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა: 1) საქართველოში წიფლის გავრცელების მოდელის შექმნა. 2) წიფლის მეორეული ტყეების კრიტერიუმების (მოდელის) შემუშავება (რა არის მეორეული ტყე ტეა-ს მონაცემებით) და არსებული პირველადი წიფლნარი ტყეების პროცენტული რაოდენობის გამოთვლა. 3) პირველადი წიფლნარი ტყეების განაწილების მოდელის შექმნა. რისთვისაც გამოვიყენეთ ახალი ტყის ეროვნული აღრიცხვის მასალები.

წიფლის გავრცელების მოდელმა, საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა AUC – ი (0.948). განსხვავებით, პირველადი ტყეების განაწილების მოდელისა, რომელიც არც ისე ზუსტია (AUC - 0.854) მაგრამ დამაკმაყოფილებელია. გარდა ამისა, ჩვენს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები მეორეული ტყეებისათვის საკმაოდ კარგად ასახავს წიფლნარი ტყეების მდგომარეობას, რომლის წილიც 4.3 % -ს არ აღემატება. საბოლოოდ, კვლევის შედეგად შემუშავებული კრიტერიუმები შეიძლება დაინერგოს სხვა სახეობების პირველადი ტყეების ამოსაცნობადაც.